საზოგადოებასთან და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის განყოფილების განცხადება გერმანიაში, მიუნსტერის რატუშის მშვიდობის დარბაზიდან, ქრისტეს ჯვარცმის 500-წლიანი სკულპტურული გამოსახულების გატანასთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.11.2023. *საზოგადოებასთან და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის მოსკოვის საპატრიარქოს სინოდალური განყოფილება განცხადებით გამოდის, სადაც აღნიშნულია, რომ ევროპის რიგი ქვეყნების ხელისუფლების პოლიტიკა, მიმართული საჯარო სივრცეში ქრისტიანული მემკვიდრეობის მეხსიერების წაშლაზე, უგულებელყოფს მორწმუნეთა უფლებებს და არ ეყრდნობა სახალხო ნების გამოვლინებას.*

2022 წლის 4 ნოემბერს გერმანულმა გაზეთმა Die Welt-მა გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენ ბერბოკმა აიძულა მიუნსტერის საქალაქო ხელისუფლება, ისტორიული რატუშის მშვიდობის დარბაზიდან გაეტანათ ჯვარი, რომელიც იქ 482 წლის განმავლობაში იდგა. ეს გაკეთდა შვიდეულის ჯგუფის (G7) ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების მეთაურთა

მოლაპარაკებების მზადების პროცესში.

გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გერმანიის „კავშირი-90/მწვანეთა“ პარტიის პოლიტიკოსების ინიციატივით, საზოგადოებრივი სივრციდან გააქვთ ქრისტიანული სიმბოლოები, კერძოდ, გფრ-ს სახელმწიფო მინისტრი კულტურისა და მედიის საკითხებში კლაუდია როტი („მწვანეთა“ პარტია) წინადადებით გამოვიდა, წაიშალოს ბიბლიური წარწერები ბერლინის საქალაქო სასახლის შენობიდან, რომელიც გერმანიის დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს, და შეიცვალოს ისინი სხვა, „უფრო კოსმოპოლიტური“, ტექსტებით.

ევროპის რიგი ქვეყნების ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ქრისტიანული მემკვიდრეობის მეხსიერების განდევნას საჯარო სივრციდან, უგულებელყოფს მორწმუნეთა უფლებებს და არ არის დაფუძნებული ხალხის ნებაზე. ქრისტიანული ფესვებისადმი ზიზღიანი დამოკიდებულება ძირს უთხრის ევროპელების იდენტობას და აკარგვინებს მათ ზნეობაზე წარმოდგენას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ევროპაში ქრისტეს რწმენის საფუძველზე.

ევროპულ ლიბერალურ პრესაში მიღებულია, დაადანაშაულონ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი მისი მრავაკჯერადი განცხდების გამო იმის შესახებ, რომ ევროპაში ქრისტიანული კულტურის მიზანმიმართული განადგურება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონტინენტის მომავალს, არამედ ერებს შორის მშვიდობასაც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გაერთიანებულნი არიან საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობით. მაგრამ უახლესი ამბები გერმანიიდან მხოლოდ ადასტურებს რუსეთის ეკლესიის წინამძღვრის მიერ ვითარების შეფასების სისწორეს. ევროპელების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ქრისტიანული სიმბოლოების აღმოფხვრის პირდაპირი შედეგია ევროპის ქრისტიანული მემკვიდრეობის დაუყოვნებელი ჩანაცვლება სრულიად საპირისპიროთი. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს გერმანიაში სატანიზმის მიმდევრების ზრდას, სადაც მათი რიცხვი უკანასკნელ 6 წელიწადში 16-ჯერ გაიზარდა და 100 000 ადამიანი შეადგინა.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ევროპის იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მათი ისტორიული მეხსიერების განადგურებას და ვამოწმებთ, რომ საერთო ევროპულ სივრცეში მშვიდობა და კეთილმეზობლობა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ქრისტიანულ ბაზისზე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89936/